ხაშურის მოამბე

№39 (460) 14 ოქტომბერი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის პროექტი გრძელდება

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ხაშურის წყალმომარაგების და წყალარინების ქსელების გაუმჯობესების სამუშაოები, პირველი ფაზის

ფარგლებში გაუმჯობესდება ქალაქის ცენტრალური ნაწილის წყალარინების და მთლიანი ქალაქის წყალმომარაგების ქსელი

2025 წლის ბოლოდან დაგეგმილია ქ.ხაშურის მოსახლეობის 24-სთ-იანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, გათვალისწინებულია 200კმ

წყალმომმარაგებისა და 45 კმ წყალარინების სრულიად ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოები

,,მაღალი ტემპით მიმდინარეობს ხაშურის წყალმომარაგება-წყალარინების პროექტზე მუშაობა. 200 კმ ქსელიდან 150 კმ უკვე

მოწყობილია. პროგრესია წყალარინების მიმართულებითაც, სადაც სამუშაოების 40 % დასრულებულია. 2025 წლის ბოლომდე ქალაქ ხაშურს ექნება 24 სთ-იანი წყალმომარაგება. წყალარინების მიმართულებით კი სამუშაოები გაგრძელდება მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე, შიდა ქართლში პროექტები ხორციელდება 12 მდებარეობაზე. ჯამურად მათი ღირებულება 400 მილიონ ლარს აღემატება. პროექტების განხორციელების შედეგად, ოთხივე მუნიციპალურ ცენტრს კასპს, ქარელს, გორს და ხაშურს 24 სთ-იანი სტანდარტის შესაბამისი წყალმომარაგება ექნება. არის უბნები და მონაკვეთები სადაც ამორტიზირებულ ქსელს ესაჭიროება შესაბამისი რეაბილიტაცია ან სხვა ტიპის სამუშაოები, რაც ასევე გეგმის შესაბამისად არის გათვალისწინებული“ - ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ ქალაქ ხაშურში წყალმომარაგების მიმდინარე სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა

დამატებით მიმდინარეობს 30 მლნ ევროს ღირებულების სასესხო შეთანხმების პროცედურები, რათა ქალაქ ხაშურში სრულად მოეწყოს წყალარინების ქსელი, რაც 85 კმ-ი ქსელის მშენებლობასა და 4000 მიერთებას გულისხმობს. ამასთანავე, ენერგოეფექტურობის კომპონენტის ფარგლებში, წყალარინების გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე დაგეგმილია მზის პანელების მოწყობა, რაც შემდგომში ელექტროენერგიის ხარჯს შეამცირებს

წყალმომარაგების ქსელის დასრულება დაგეგმილია 2025 წლის ბოლოსთვის

ხაშურის წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოებს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით 330 მლნ. ლარზე მეტი მოხმარდება

დააჯილდოეს წარმატებული პედაგოგები

მასწავლებლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძემ და განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა წარმატებული პედაგოგები დააჯილდოეს.

როგორც ცნობილია, გასული წლიდან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული და ღირსეული პროფესიის დაფასებისთვის დაწესებულია მასწავლებლის ეროვნული დღე და ეროვნული ჯილდო.

წელს ხაშურის სასკოლო საზოგადოებამ ეროვნულ პრემიაზე 6 ხაშურელი მასწავლებელი წარადგინა: ნათელა გოგალაძე სურამის მესამე საჯარო სკოლაში ისტორიას ასწავლის, ქეთევან გოგალაძე- ხაშურის მეორე საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგია, ნანა ლორთქიფანიძე მუსიკის მასწავლებელია ხაშურის მესამე საჯარო სკოლაში, ნუნუ ბიბილური სურამის მეოთხე საჯარო სკოლის გეოგრაფიის პედაგოგია, ნანა ჯოხაძე საქართველოს საპატრიარქოს წმ. დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლაში მუსიკას ასწავლის, ანა ტაბატაძე კი ხაშურის მეშვიდე საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელია.

მუნიციპალიტეტის მერიისგან მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჯილდო სწორედ ამ პედაგოგებმა მიიღეს.

“წაღვლი - ფესტი - 2024“ წარმატებით დასრულდა

2024 წლის 5 ოქტომბერს, წაღვლის საჯარო სკოლის ეზოში, საფუძველი ჩაეყარა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების- წაღვლის, ზედა და ქვედა ბროლოსნის, კლდისწყაროს, ჩორჩანის და სხვათა ხალხური რეწვისა და კულინარულ ფესტივალს.

„წაღვლი-ფესტი 2024“-ის პროექტი USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის

მხარდაჭერით და ა(ა)იპ „ხაშურის მეწარმე ქალთა გაერთიანების” ორგანიზებით განხორციელდა.

„ხაშურის მეწარმე ქალთა გაერთიანება“ ჯერ საინიციატივო ჯგუფად ჩამოყალიბდა, ხოლო 2023 წლის 6 აპრილს იურიდიულ პირად დარეგისტრირდა. ორგანიზაცია ამჟამად 67 მეწარმე ქალს აერთიანებს ხაშურის მუნიციპალიტეტიდან. თითოეული წევრი აქტიურად მონაწილეობს

საქართველოს მასშტაბით გამართულ გამოფენებში, გაყიდვებში და ტრენინგ-სემინარებში. მეწარმე ქალებმა ამ ტრენინგებიდან მიღებული ცოდნა და გამოცდილება საკუთარი ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისთვის გამოიყენეს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნანა შარაშიძე, ბოლო 10 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობდა არასამთავრობო ორგანიზაციას- „ქალი, ბავშვი და სოციუმი“, რომელმაც არაერთი სოციალური პროექტი განახორციელა. დღემდე აქტიურად მუშაობს სხვადასხვა ჯგუფის გაძლიერების მიმართულებით, წარმატებით უძღვება საოჯახო მეურნეობა „დოშკანას.“

ძალიან დაეხმარა პროექტს ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მცველის, ისტორიკოსი-ეთნოგრაფის, მზია ლობჟანიძის გამოცდილება, რომელიც სოფლის ფესტივალების ჩატარების იდეების აქტიური მხარდამჭერია. იმის გათვალისწინებით, რომ სოფ. წაღვლში, ადგილ „მიქელაანთ ვერხვებში“, N94 სამარხში ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელ-ლი: ალ. რამიშვილი) 1984 წელს, აღმოჩენილი იქნა უძველესი სალეწი იარაღის, კევრის ნაშთები (რომელიც მეცნიერ არქეოლოგთა მიერ მიჩნეულია კავკასიაში პირველ კევრად), ფესტივალის ინიციატორებმა, სწორედ, ის გამოიტანეს ფესტივალის ლოგოდ.

ფესტივალი გაიმართა წაღვლისა და ბროლოსნის საჯარო სკოლების მოსწავლეების და ყველა ასაკის ადგილობრივ მკვიდრთა ჩართულობით. ფასტივალის ფარგლებში, წაღვლის საჯარო სკოლის ეზოში მოეწყო ავთენტური გლეხური დარბაზი, სადაც წარმოდგენილი იყო ქართლის ამ უძველესი საცხოვრისისთვის დამახასიათებელი დეტალები. ფესტივალზე წარმოჩენილი იქნა ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფისა და კულტურის ელემენტები, ქართლის რეგიონისთვის დამახასიათებელი კულინარული ნიმუშები(განსაკუთრებით, ქართლური შეჭამანდები-ყველის, მაწვნის, კვრინჩხის, შინდის, ტყლაპისა და სხვ.), ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრები(ნაქარგები, თექის ნიმუშები, ნაქსოვები), ეკოლოგიურ გარემოში შეგროვებული სამკურნალო მცენარეები. მასპინძლები სტუმრებს

სთავაზობდნენ ადგილზე მომზადებული მივიწყებული ქართლური წვნიანის, ე. წ. შეჭამანდების, ხაჭაპურების, ლობიანების, გულიანი ქადების, ხაბიზგინებისა და სხვათა დაგემოვნებას. პატარა ფოსტალიონებმა ფესტივალის ყველა მონაწილეს შესთავაზეს სხვადასხვა სახეობის ქართლური შეჭამანდების რეცეპტები. გაიმართა მინი-ჩემპიონატი ნარდში და სპორტის ძველს სახეობებში. გაცოცხლდა ქართული მივიწყებული თამაშები - ლახტი, კენჭაობა, შვიდქვაობა, ნიშხა-ნიშხა - ბარბალუკა.

გამოვლინდნენ წაღვლის და ბროლოსნის საჯარო სკოლების

მოსწავლეებისთვის გამოცხადებული ესეების კონკურსის გამარჯვებულები თემაზე: „დავით აღმაშენებელი და წაღვლი“. ფესტივალის ორგანიზატორებმა სიგელებით დააჯილდოეს გამარჯვებული მოსწავლეები. სიგელები გადაეცა ფესტივალის იმ მონაწილეებს, რომლებმაც განსაკუთრებული ძალისხმევა გამოიჩინეს თავიანთი კულინარული ნაწარმისა თუ ნაოსტატარის წარმოჩენაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდებში ერთადერთი ადგილობრივი მჭედლის, რეზო გოგალაძის მიერ ხარების დაჭედვის ჩვენებამ.

ფესტივალი ხაშურის მეწარმე და შემოქმედ ქალთა ნამუშევრებმაც დაამშვენა. მათ მიერ წარმოდგენილი იქნა თექის, ქართული საეკლესიო ნაქარგობის საინტერესო ნიმუშები, ხეზე კვეთის ოსტატთა ნამუშევრები და სხვა.

ამ დღეს, სოფელ წაღვლს 150-ზე მეტი სტუმარი ეწვია, მათ შორის იყვნენ დონორი ორგანიზაციის, USAID-ის წარმომადგენლები.

„წაღვლი ფესტი - 2024“-ის უპირველესი მიზანი, ხელი შეუწყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე თემების შემოსავლის მომტანი საქმიანობის განვითარებას, ხალხური რეწვის პროდუქციის პოპულარიზაციას, ტრადიციული ხელოვნების ისტორიის წარმოჩენას და სოციალური ერთიანობას, შესრულებულია.

გრძელვადიან პერსპექტივაში იგი ხელს შეუწყობს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების განვითარებას, ადგილობრივ მკვიდრთა მიერ ტრადიციული რეწვის საინტერესო სახეობების გადარჩენას, შენარჩუნებას და პოპულარიზაციას, რაც, ერთგვარად, მიეხმარება სოფლებში ტურიზმის განვითარებასაც სხვადასხვა მისიით სტუმრად ჩამოსული ადამიანების მეშვეობით.

ასეთი ფესტივალები იძლევა საშუალებას რომ შევინახოთ, დავიცვათ და სიცოცხლე შევძინოთ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას.

ირინა გოგიტაური

„თბილისობის“ დღესასწაულს შიდა ქართლის რეგიონიც შეუერთდა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმში ,,თბილისობის“ დღესასწაული მრავალფეროვანი და მასშტაბური ღონისძიებებით აღნიშნა. საზეიმო ღონისძიებას, ტრადიციულად, შიდა ქართლის რეგიონიც შეუერთდა. წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მეწარმეების ნაწარმი და ნაკეთობები, მოეწყო მეთუნეობის მასტერკლასი, ასევე დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა ენახა თონეში ნაზუქი ცხობის პროცესი და დაეგემოვნებინა ქართლის მარნების ღვინოები. გარდა ამისა, მოეწყო საჭიდაო მოედანი, სადაც სპორტსმენები დაინტერესებულ სტუმრებს ჭიდაობის ტექნიკებს აცნობდნენ.

მუზეუმში გამართულ ღონისძიებას კულტურის მინისტრის მოადგილე კობა ხუბუნაია დაესწრო. შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში აპარატის ხელმძღვანელმა ქეთევან ციმაკურიძემ გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან სიმონ გულედანთან და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან ზვიად გოგუაძესთან ერთად სტუმრებს შიდა ქართლის კუთხეში უმასპინძლა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში უკვე მესამე წელია საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები ადგილზე მისულ სტუმრებს მათთვის დამახასიათებელ ტრადიციებსა და კულტურას აცნობენ. ეწყობა ფოლკლორული კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, ადგილობრივი სამზარეულოს, ღვინის კუთხეებისა და ქართული ტრადიციული რეწვის მასტერკლასები.

ხაშურში, შინდარის დასახლებაში, სკვერი მოეწყობა

„ამ ეტაპზე, მშენებლობისთვის, მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის დასრულებული სახე, ძალიან ლამაზი იქნება. გათვალისწინებულია, დასასვენებელი სკამების, ფანჩატურების, საბავშვო ატრაქციონების, განათებების მონტაჟი. იქნება მინი სტადიონი, დაირგვება სხვადასხვა ტიპის ხე-მცენარეები. სივრცე, ყველა ასაკის ადამიანის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და ადგილობრივების საყვარელი ადგილი გახდება.“- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა-თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის-გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სკვერის მოწყობის სამუშაოები, თანადაფინანსებით განხორციელდება და ღირებულება-389 646 ლარს შეადგენს.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 24 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გაზეთის მე-4 გვერდი (988 კვ.სმ), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494 კვ.სმ.). ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 20 თეთრს (ერთი გვერდი - 197 ლარი და 60 თეთრი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 15 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში - 148 ლარი და 20 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში - 74 ლარი და 10 თეთრი.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38)

მურმანისშვილის ნაზვრევი - ადგ; სახნავი, სათესი. როგორც ჩანს სურამში ნაზვრევი ქართლის სამეფო კარმა მურვანიშვილებს XVIII ს - ის 40-50 - იანი წლების მიჯნაზე უბოძა. ამასთან დაკავშირებით საბუთში, რომელიც 1767 წლის 26 აგვისტოთი თარიღდება, ნათქვამია: ,,...მეფემან საქართველოსამან, ქართლისა, კახეთისა და ყაზახ-ბორჩალოს მპყრობელ-მქონებელმან, [თ]ანამეცხედრემან ჩვენმან დადიანის ასულმან დედოფალმან დარეჯან, ძემანჩვენმან... უფლისწულმან პატრონმან გიორგიმ, ლევან, იულონ, ვახტანგ, თეიმურაზ დამირიან, ძისა ძემან ჩვენმან დავით. ესე ამიერითგან უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი სამკვიდროთ და საბოლოთ გამოსადეგი მამულოს წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისაებრ ნამსახურს [მურვანის]შვილს იესეს, ქაიხოსროს, ზურაბს, გოგიას და ბიძაშვილსა თქვენსა შიოშს. ასე რომ როდესაც ბატონი მამაჩვენი ყეენთა[ნ] წაბძანდა, მა[ში]ნ თქვენი ბიძაშვილი შიოში თან ახლდა. დიდათ ერთგულათ მსახურა და იქ იმის ერთგულობასა და სამსახურში მიიცვალა. ამის სამუქფოთ ნეტარხსენებულს ბატონს მამაჩვენს სურამს ნაზვრევი თქვენთვის ებოძებინა. მაგრამ იმის წიგნი როგორმე მამხდარიყო, რომ დაგკარგოათ. ახლა მოხვედით და [ი]მ წყალობის განახლებას დაგვეაჯენით. შენ, ქაიხოსრო და შენი ძმა გოგია მცირენი ჩვენგან დაზრდილნი იყავით და დიდათ ერთგულათ და თავდადებით ჩვენი ნამსახური და მრავალჯერ ჩვენს წინ ჩვენს მტერზე კარგათ გარჯილნი და სახელიანათ დარჩომილნი. ამასდა გარდა, როდესაც ქართლიდან მომავალნი ვიყავით, დიღმის მინდორში ღამე ცოტა რამ ლეკი შემოგვხვდა. ღ[ვ]თის მოწყალებით სწრაფად დამარცხდნენ და ყათლანი დაემართათ. თქვენ, სამნივ ძმანი, ქაიხოსრო, ზურაბ და გოგია თან გვახლდით, კარგად გაისარჯენით, სამთავ თითო ლეკი დაგრჩათ და თავები მოგვართვით. ჩვენ, უწინდელი თქვენი ნამსახურობაც მოვიხსენეთ და ახლა ეს თქვენგან კარგათ გარჯაც გავშინჯეთ. ამისდა საჯილდაოთ გიბოძეთ და დაგიმკვიდრეთ სურამს ჩვენი ნაზვრევი თავის სამართლიანის სამძღვრითა...“(ხეც. Qდ – 7019). 1797 წლის 9 მარტის საბუთში, რომელიც წარმოადგენს სოლომონ ხეროდინაშვილის მიერ გიორგი ვეზირიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის სიგელს, ერთ-ერთ საზღვრად დაფიქსირებულია მურვანისშვილის ნაზვრევი: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერინე და მოგეცი მე, ხეროდინასშვილმა მდივნისშვილმა სოლომონ... შენ ვეზირისშვილს ნასაღჩიბაშის ნაიბს გიორგის... მოგყიდე სურამს შენის ზვრის ბოლოს მიწა. არის ამ მიწის სამძღვარი... მეოთხე მხარე მურვანისშვილის ნაზვრევის მიდგმამდის...“(სცსსა, ფ.1450, დავთ.36/259). 1862 წლის 26 იანვარს ზურაბ მურვანოვის ქვრივმა ნაზვრევის მესამედი მიჰყიდა შამელ ფიჩხაძეს: ,,... სოფელს სურამში მცხოვრებელმა აზნაურის ზურაბ მურვანოვის ქვრივმა და შვილმა ჩემა ილიკომა... მოგყიდე საჭიროებისათვის... თქვენ სურამშივე მცხოვრებელთა შამელ, დავით, აბრამა და ბინო მოშეს ძეთ ფიჩხაძეთა სამკვიდრო მამული... ნაზვრევის მესამედი..., რომლის სამძღვრები არიან: აღმოსავლეთით სურამში მცხოვრებლების არუწოვის ვენახი და ისრაელთ სასაფლაო, დასავლეთით შარა გზა და ჩრდილოეთით იასე მურვანიშვილისადმი ნარგები ამავე ნაზვრევის მესამედი და სამხრეთით ისხაკა მაღალაშვილის სახლ-კარი და ბაღი. ესე ნაზვრევი თავის ჭურ-მარნითა და საწლნახნითა და საქაჩავის ქვებითა“.

მუხნარი - ადგ., მუხნარი.

მწვანე ბაზარი- ადგ., იგივეა რაც ძველი ბაზარი.

ნავენახარი - ადგ; 1862 წლის 26 იანვარს ზურაბ მურვანოვის ქვრივმა მიჰყიდა შამელ ფიჩხაძეს: ,,... ნავენახარი თქვენივე ვენახის თავზედ მდებარე... სამძღვრებთა შუა: აღმოსავლეთით გლეხის პავლე ჯობაძის მიწა, დასავლეთით სვიმონ ნებიერიძის მიწა, სამხრეთით თქვენივე ფიჩხაძეთა ვენახი და ჩრდილოეთით შარა“ .

ნაზრუევი - ადგილი; 1794 წლის 25 ოქტომბერს სოლომონ ხეროდინაშვილმა მირზა იბრეიმას შვილს - გიორგი ნასახჩიბაშის ნაიბს მიჰყიდა თავისი ,,...სამკვიდრო ვენახი. თავს ჩხეიძის მხრის მიდგმამდინ, ბოლოს ჩემისავ მიწის მიდგმამდინ, ერთი გვერდი სუთიაშვილის ვენახის მიდგმამდინ, მეორე გვერდი ნაზრუევის მიდგმამდინ, თავისი მარნითა და გზითა“.

ნარუანის მიწა - ადგ; სახნავი. დღევანდელი ნარვანი. აქ, ვახტანგ VI, ,,ტილიანს პირზე“ სურამის ხოდაბუნზე მიცემული მიწის სამაგიერო მიწას აძლევს მურვან მურვანიშვილს. იხ. სურამის ხოდაბუნი.

ნაფუზარი - ადგ; სახნავი, სათესი. 1794 წლის 25 ოქტომბერს სოლომონ ხეროდინაშვილმა მირზა იბრეიმას შვილს გიორგი ნასახჩიბაშის ნაიბს მიჰყიდა თავისი ,,...ნაფუზარი. თავს ბებიაშვილის ბაღის მიდგმამდინ, კიდევ ბოგირამდინ, ბოლოს ლოტუაშვილის და გიუაშვილის მიდგმამდინ, ერთი გვერდი შარამდინ, მეორე გვერდი წყლამდინ, საწისქვილოს გარდა“.

ნებიერიძის მიწა - ადგ; დაფიქსირებულია 1834 წლის 4 ნოემბერს გიორგი ჯობაძის მიერ ადამა ჯობაძისათვის მიცემული მიწის საბუთში: ,,...ესე ამიერიდგან უცილებელი და უდაო ბოლო მოუღებელი სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, გიორგი ჯობაძემა შენ, ბიძაჩემს, ადამა ჯობაძეს და შენ შვილს პეტრეს დაკიკოლას. ასრე რომ დამჭირდა და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მიწა თქვენგან ნარგები ოროკოზედ. აქეთ ნებიერიძი[ს] მიწის მიდგმამდინ, იქით ჩვენის სახლისკაცების, ბეჟანას და პატას მიწის მიდგმამდინ. მე და შენი იყო სანახევრო, ჩემი ნახევარი შენ მოგყიდე“.

ოთეღაშვილის ვენახი - ადგილი; 1827 წლის 1 მაისს ბაკა მურვანიშვილმა გიგოლა ოთეღაშვილს მიჰყიდა ვენახი, რომლის ერთ-ერთი საზღვარი მისივე, ოთეღაშვილის ვენახი: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, კეთილშობილმან მურვანისშვილებმან ბაკამა და გოგიამ, შვილმა ჩვენმა ქაიხოსრომა და მურვანმა, შვილმა და მამავალმა სახლისა ჩვენისამა შენ, სურამში მცხოვრებელს ოთეღაშვილს გიგოლასა, შვილსა შენისა და მამავალსა სახლისა შენისასა. ასე რომ ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ისევ მამიშენისაგან გასყიდული ვენახი ბიბილურზე და ბიბილურსაც მოესყიდნაჩემს კაცის ბლიაძისთვინა. შენის სახლისეული შენ მოგყიდეთ. თავს ტიჟუაშვილის და ვენახის მიდგმამდინ და ბოლოს ისევ ოთეღაშვილის ვენახის მიდგმამდინ, ერთი გვერდი კვახიაშვილის ვენახის მიდგმამდინ, მეორე გვერდი ხიდი[რბეგი]შვილის ნავენახარის მიდგმამდინ“.

პაპუაშვილის სამანი - ადგ; იხ. მანანაური, აგრეთვე ხოჯაურის სამანი.

ჟანგიანი წყალი - ადგ., იგივეა, რაც რკინის წყალი.

რიკოთის უღელტეხილი - ადგ., უღელტეხილი სურამის ქედზე.

რკინის წყალი - ადგ., წყარო, მინერალური წყალი.

რუსის შარა - ადგ; გზა. 1851 წლის 1 მაისს ,,...სურამში მცხოვრებელმა მეკვიდრემ დავით მღდელმან ბებიომა“ ასევე ,,სურამში მცხოვრებელს სახემწიფოს ყმასა მიქელა აკოფოვსა“ მიჰყიდა მიწა, რომელის საზღვარიც ,,თავში“ გრძელდებოდა ,,რუსის შარამდინ“.

სადამღაწიშვილო//სადამღოწიურო - ადგ; მომდინარეობს დამღაწაშვილის გვარიდან. 1657 წელს როსტომ მეფემ დამღაწაშვილის მამული მურვან რუსაშვილს უბოძა: ,,...მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ და ძემა ჩვენმან პატრონმან ვახტანგ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა რუსაშვილს მურვანს, ძესა შენსა შალვასა და შუილთა თქვენთა იესეს, თამაზს და სახლისა მომავალთა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს მოგვადეგით კარსა და მამულის წყალობას გვეაჯენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოკითხული გიყავით და ამოვარდნილის დამღაწაშუილის ზაქარიას კერძი მამული, სახლ-კარი, მთითა, ბარითა, ველითა და ვენახითა, ჭურ-მარნითა, შენითა და უშენითა, შესავლითა და გასავლითა, საძებრითა და უძებრითა, ყოვლითურთ უნაკლულოდ თქვენთუის და თქვენთა შუილთათუის გვიბოძებია... პირველაც თქვენთუის გუებძებინა და ახლაც ამ სიგლით დაგვიმკვიდრებია და ღარიბას ხოდაბუნი ამასწინათ საჯილდაოდ გიბოძეთ და ისიც საბოლოდ დაგვიმკვიდრებია“. XVIII ს - ის 20 - იანი წლებით დათარიღებული საბუთის თანახმად მამუკა ხიდირბეგიშვილი მას აძლევს მურვან მურვანიშვილს: ,,ესე წიგნი მოგეც მე, ხიდირბეგისშვილმა მამუკამა შენ მურვანისშვილს მურვანსა და შენს ძმებსა. ასე რომე სადამაღოწიურო შენი მამული ბატონმა მე მიბოძა. მე ახალციხეს წაველ. ჩემს ძმისწულს იმაში ხელი არა აქს. თუ იქიდამ ჩამოსვლა აღარ მომიხდეს, შენი მამული შენთვინ დამინებებია ყოვლის კაცისუცილობლათ“ .

საზვერლისეული მამული - ადგილი, 1584 წლის ახლოს დროოთეზ კათალიკოზმა იტრიის ღვთისმშბლის ეკლესის შესწირა ,,...კუართისას ბაწუნწელაშვილი დათვია საზვერლისეულის მამულითა“.

საკირის ხევი - ადგ; იგივეა რაც ბაიანთხეულა.

სამების უბანი - ადგ; უბანი

სანატორიუმი - ადგილი, გორაკი. ახლა აქ სანატორიუმია.

სასურამო სანახირო გზა - ადგ; გზა. 1825 წლის 9 ივნისის საბუთში ბაკა მურვანიშვილის მიერ გლახა ხეროდინოვისათვის მიყიდული სერის მიწის ,,მეოთხე გვერდი სასურამო სანახირო გზა“ არის.

საქოლავი - ადგილი სამხრეთით მდ. სურამულას მარცხენა მხარეს. გადმოცემით აქ ძველად დამნაშავეებს ქოლავდნენ. გვხვდება ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში. 1731 წლის მარტის დასაწყისში აქ მიწა მიუყიდია ელია გუგუნაშვილს აბდულა თოფჩიაშვილისათვის: ,,...ესე ნასყიდობის წიგნი და პირი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, გუგუნაშვილმა ელიამა და შვილმა ჩემა შავლამა და ჩემა ძმისწულმა შაბათამა თქვენ, თოფჩიაშვილსა აბდულასა და ძმასა ოსმანასა, სახლისა მამავალსა თქვენისასა. ასე რომე მოგყიდეთ საქოლავზედა გზაზეით მოძღვრისა მოცემული მიწა, ზეით არონასშვილისა სურიელისა მიწისა მიდგმამდი, ქვეით შენისა მიწისა მიდგმამდი“.

1733 წლის 25 მაისს ,,...ბათინასშვილებმა კაკას შვილმა ელიამა და ბიძაჩემმა ებად[ა]მა, ლევა[ნ]მა და ბინიამა და ბიძაჩემმა კიკამა შენ, თოფჩიაშვილს აბდულასა და ძმასა შენსა შერმანასა და ძაღლუასა, შვილსა თქვენსა სულეიმანსა და თომასა, მოგყიდეთ საქოლავზე ორი დღის მიწა. იქეთ გვერდზე შენის მიწის მიდგმამდის, აქეთ ყობიას მიწის მიდგმამდის, ბოლოს შენის მიწამდის, ზემო შარამდის“.

საწურბლე - ადგ; 1879 წელს აზნაურმა ლუარსაბ აბაზაძემ დათუა ჯობაძეს მიჰყიდა გასაჩეხი ტყე ,,სახელწოდებული ჯაფინაური“, რომელსაც ესაზღვრებოდა ,,დასავლეთით საწურბლე“.

სახტრის წვერი - ადგილი. გვხვდება 1658-1675 წლებით დათარიღებულ შანშე აბაზაძესა და გიორგი ღაღანიძეს შორის მამულების მოცვლის სიგელში. შანშე აბაზაძეს დავა მოსვლია მიწაზე გიორგი ღაღანიძესთან. ამ დავის მოსაგვარებლად მოდავე მხარეებმა მიწები გაცვალეს: ,,...ესე სიგელი და გასათავებელი წიგნი მოგეცი მე, აბაზაძე შანშემ, შვილმა ჩემმა რამაზ, თქვენ, ღაღანიძეს გიორგისა და შვილსა თქვენსა ბეჟამსა, სხვა შვილთა და მომავალთათქვენთა. სასახლესთან მიწა გქონდა, ცოტა ჩხუბი დაგვემართა სამდურობის გულისთვის. ზეით, რომ სახტრისა წვერი... ქვეით ზედ ნერგსა, აქათ დაბლა ფრონემდი დგას, აქათ მიწაზედ გაგიცვალეთ. აღარა ჩვენ შემოგეცილოთ, არა სხვა ჩემი სახლისა კაცი. [თუ] სხვა შემოგეცილოს, პასუხისა გამცემი მე ვიყო“.

სერის მიწა - ადგ; სახნავი, სათესი. 1825 წლის 9 ივნისს ბაკა მურვანიშვილმა სერის მიწა გლახა ხეროდინოვს მიჰყიდა. საბუთში ნათქვამია: ,,...ნასყიდობის წერილი და სიგელიდაგიწერეთ და მოგეცით, ჩვენ სურამში მცხოვრებელთა კეთილშობილთა აზნაურთა ბაკამ, გოგიამ და ძმისწულმან ჩვენმან იესემ მურმანისშვილებთა, თქვენ, სურამშივე მცხოვრებელთ, გლახასა და ძმასა შენსა ელიზბარსა ხეროდინოვთ. დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი საკუთარი სარწყავი მიწა, ესე იგი სერის მიწა სამის დღისა და სამი ჩარექი სამზღვრებთა შორის: ზედა გვერდი ჩვენის გლეხის კაცის სანდოძის მიდგმამდინ, ქვედა გვერდი ტიჟუაშვილის და .....შვილის მიწების მიდგმამდინ, მესამე გვერდი ალ.... გზა, მეოთხე გვერდი სასურამო სანახირო გზა და ღელე“.

სიმონასშვილის ნერგნალი - ადგ; იხ. ბაბიკავურის ვენახი.

სომხების უბანი - ადგ; უბანი

სუთიასშვილი პაატას მიწა - ადგილი; 1797 წლის 9 მარტს სოლომონ ხეროდინაშვილმა გიორგი ვეზირიშვილს მიჰყიდა ,,...სურამს შენის ზვრის ბოლოს მიწა. არის ამ მიწის სამზღვარი ზევითი მხარე შენის ზურის მიდგმამდის, ქვევით მხარე შენის მარნისა და ჩემის დარბაზის მიდგმამდის, მესამე მხარე სუთიასშვილის პაატას მიწამდის, მეოთხე მხარე მურვანისშვილის ნაზვრევის მიდგმამდის“.

სურამის გვირაბი - ადგ; გვირაბი ლიხის /სურამის/ ქედზე.

სურამის სანახირო გზა - ადგილი; იხ. სერის მიწა.

სურამის ქედი - ადგ; იგივეა რაც ლიხის ქედი.

სურამის ციხე - ადგ., ციხე, დაბის ცენტრში.

სურამის ჭალა - ადგილი, მოიცავდა ტერიტორიას მდ. შოლიდან დაღალულას მინდორამდე. დაღალულა მინდორსა და სოფელს ერქვა დღევანდელი ს. გომის სიახლოვეს. ,,...არს ჭალა სურამსა, მტკუარის კიდესა, დაღალულადამ შოლამდე”. სურამის ჭალის ნარჩენებია გომში, ოსიაურში, ხაშურში შემორჩენილი იყო ჭალის ჭალა, რომელიც XX ს-ის 70-იან წლებში მეფრინველეობის ფარიკის მშენებლობასთან დაკავშირებით განადგურდა. 1712-1724 წლებით დათარიღებულ ვახტანგ VI_ის ერთ-ერთ სიგელში ნათქვამია: ,,ჩვენი ბრძანება არის, აბაშიძევ ბატონო ვახუშტი! მერმე სურამის ჭალაში ოსიაურისაკენ ოცდაათი საკვამლო მიწა და იმ ნაპირს კაცები რომ დასახლებულა შიგ, მსახლობელის კაცით ქაიხოსრო წერეთლითვის გვიბოძებია და ეს მიწაც მოუჭერ და კაცებიც მიაბარეთ”.

იმავე ვახტანგ VI -ის ბრძანებით, ის რაც ქაიხოსრო წერეთელს უბოძა, ახლა სეხნია ჩხეიძეს მისცა: ,,ჩვენი ბძანება არის! მერმე სურამის ჭალაზედ, რაც წერეთელს ჭალა ეჭირა იქ მსახლობელის კაცითა, მმოლარეთხუცესის სეხნიასათვის გვიბოძებია“(სცსსა, ფ.1450-35/118). სურამის ,,ჭალის საქმეზე” 1755 წელს თეიმურაზ II მურვანიშვილებსა და სურამლებს უბრძანებს პაატა აბაშიძესთან ჩამოსვლას.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ხელოვნება -

ლიკა შაინიძე - შემოქმედი, რომლის ნამუშევრები აღფრთოვანებას იწვევს

ლიკა შაინიძე თვითნასწავლი მხატვარია, პორტრეტებზე მუშაობს ნახშირით, ამბობს, რომ რთული ტექნიკაა, რომელიც შეცდომებს ადვილად არ გპატიობს. მეორე წელია, ხაშურში ცხოვრობს, მხატვარ და მუსიკოს გიორგი სუხიაშვილის მეუღლეა, მათი სიყვარული და კავშირიც ხელოვნების და მხატვრობის სიყვარულიდან მოდის. ციხისძირიდან ხაშურში გადმოვიდა საცხოვრებლად და აქ განაგრძო აქტიური მუშაობა. ხატვის დაწყება, არც

გეენტიკური ნიჭი ყოფილა, როგორც ამბობს, საკმაოდ გვიან დაიწყო, სიფრთხილით და თავმდაბლობით გამოირჩევა, გიორგია მისი სტიმული და ცდილობს, უფრო დიდი მხატვარი გააცოცხლოს მასში, რისი პოტენციალიც ნამდვილად აქვს.

-საკმაოდ გვიან, 14 წლის ასაკში დავხატე პირველად. თინეიჯერი ვიყავი, ფაქტობრივად, გადავხატე პლაკატიდან(საყვარელი მომღერლების და მსახიობების პლაკატებს ვაგროვებდით), მაშინ იმისი შესაძლებლობა არ იყო, ინტერნეტის საშუალებით მესწავლა რამე. სიმართლე გითხრათ, პირველი ნახატი, უფრო გადახატვა, არ გამომივიდა, მაგრამ არ დავნებდი, მეორედაც ვცადე, უკვე გავდა, მაშინ გადავწყვიტე, რომ შემეძლო ხატვა, თუმცა, რომ ვადარებ დღევანდელ ნახატებს, ძალიან სასაცილოდ გამოიყურება.

ჩემთვის ძალიან რთულია სიახლეების დაწყება, კომფორტის ზონის დატოვება, ამიტომ დიდი სიფრთხილით ვეკიდები ხოლმე ყველაფერ ახალს.

-პორტრეტების შემდეგ, სხვა ჟანრშიც ხომ არ სცადე ხატვა?

-პორტრეტების შემდეგ, ზღვის პეიზაჟების ხატვა დავიწყე. ზღვის პირას ვცხოვრობ და ბუნებრივია, ტალღების ხატვა დავიწყე, პორტრეტისგან განსხვავებით, გამომივიდა. აკრილში ვხატავდი. დავიწყე ქვაზე, ხეზე ხატვა, თუმცა ყველაზე კომფორტული სახატავად ტილო აღმოჩნდა.

-როგორ განვითარდა, შენი, როგორც დამწყები მხატვრის მომავალი?

-როცა ხატვა დავიწყე, არც მიფიქრია, რომ ჩემს პროფესიად იქცეოდა და მთავარ შემოსავლის წყაროდ. თანდათან სტიმული მომცა ახლობლების შეფასებებმა, რომ არ მეჩვენებოდა და შემეძლო ხატვა. ორი წელი ვხატე პორტრეტები, აბიტურიენტობის პერიოდში, დრო აღარ მრჩებოდა სახატავად. პროფესიად ისტორია ავირჩიე, რადგან მაშინ ბათუმში არ იყო სამხატვრო მიმართულებით ცოდნის მიღების შესაძლებლობა, ამის მიუხედავად, სულ ვფიქრობდი, რომ ამ მიმართულებითაც მიმეღო პროფესიული განათლება. მაგისტრატურაზე ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით ჩავაბარე, მიუხედავად იმის, რომ პრაქტიკული განათლება ვერ მივიღე, თეორიულად ძალიან საინტერესო და საჭირო აღმოჩნდა ჩემთვის, როგორც ხელოვანისთვის.

-შეფასებები როგორი იყო?

-ისევ პორტრეტს უკავშირდება. კოვიდის პერიოდში, ბევრი თავისუფალი დრო მქონდა ხატვისთვის. მუშაობის პროცესში, ჩემ შეცდომებზე დავიწყე ფიქრი და გაანალიზება. ამ პერიოდში, მომწერა ერთმა მხატვარმა, შემიფასა ჩემი ნამუშევრები. მოვლენები ისე განვითარდა, რომ ეს ადამიანი ჩემი მეუღლე გახდა.

-ყველაზე დიდი სტიმული, ან მოტივაცია, ან ძვრები, რა იყო, რამაც ისევ მოლბერტთან მიგიყვანა?

-რაღაც დიდი ძვრები არ მქონია, ოთხწლიანი შესვენების შემდეგ, ბევრი ბრძოლა გავიარე ჩემს თავთან. არ მქონდა სურვილი ხატვის, მივიდოდი სახატავ მოლბერტთან და სურვილს ვკარგავდი. ერთ დღესაც, თავისთავად მოვიდა სურვილი, დამეხატა. მეგონა, დიდი შესვენების შემდეგ, არ გამომივიდოდა, თუმცა, იმაზე კარგად გამოვიდა, ვიდრე ოთხი წლის წინ, სტიმული აღმოჩნდა, ამის შემდეგ არ გავჩერებულვარ.

-გამოფენებში თუ მონაწილეობ?

-მქონდა რამდენიმე გამოფენა. ხაშურქალაქობაზეც მქონდა ჩემი ნახატები გამოტანილი, სადაც მიშა ამანათაშვილმა მომცა რჩევა, რომ მიუხედავად იმის, რომ პორტრეტები კარგად გამოგდის და დროა, სხვა სტილშიც მოსინჯო და ნახო შენი თავიო-ეს ისეთი შეფასება და რჩევაა, რომელიც ახლოა ჩემთან და ყველაზე გასათვალისწინებელი.

-ახლა რა ეტაპზე ხარ?

-ძირითადად, შეკვეთებზე ვმუშაობ, ჩემი შემოსავლის წყარო ესაა. ასევე კომპანიაში ვმუშაობ, რამდენიმე მხატვარი ვართ გაერთიანებული, გვეგზავნება შეკვეთები და ვაგზავნით დასრულებულს.

-ჟანრი, რომელიც შენია და მხატვარი, რომელსაც გრძნობ?

-პეიზაჟი მომწონს, მარინისტული, ზღვის პეიზჟები. პორტრეტების მხრივ, კარავაჯო, ძალიან ახლოსაა ჩემთან სტილისტურად. მიუხედავად იმის, რომ შავ-თეთრში ვმუშაობ, ეს სულაც არაა მარტივი, აქ ფერებიც უნდა იგრძნობოდეს, მეტი დატვირთვა აქვს.

-ალბათ, მკითხველისთვის, ძალიან საინტერესო იქნება, შენი და გიორგის გაცნობის ისტორია

-ჩვენი გაცნობის ისტორიაც, მხატვრობიდან იწყება, დიდი ხნის დასვენების შემდეგ, როდესაც სოციალურ ქსლეში განვავთავსე ჩემი ნახატი, გიორგის ძალიან კარგი შეფასება მოყვა. აღმოჩნდა, რომ მანამდე სულ მაკვირდებოდა, როგორც დამწყებ მხატვარს.

გიორგი სუხიაშვილი: მუსიკოსი, მხატვარი:

-ძალიან სწრაფი ზრდა ჰქონდა, რაც ძალიან გასაკვირია მხატვრობაში. ბევრ მხატვარს ვიცნობ, რომლებიც განვითარებისთვის დიდ და ხანგრძლივ გზას გადიან, ლიკას შემთხვევაში, ეს იმდენად სწრაფად მოხდა და იმხელა ნახტომი იყო, გაოცებული დავრჩი და გადავწყვიტე, როგორც დამწყები მხატვრისთვის, სტიმული მიმეცა და გამომეხატა ჩემი ემოცია. რაღაც პერიოდი აღარ ვეხმიანებოდი, შემდეგ გავაქტიურდი და ჩავაკითხე ციხისძირში, კოვიდის პერიოდი იყო, შეზღუდული იყო ტრანსპორტის გადაადგილება, რაღაც მანქანას გავყევი. ვისეირნეთ ზღვის ნაპირზე, ვისაუბრეთ ხელოვნებაზე. ეს ურთიერთობა უფრო ინტენსიური გახდა, იმდენად, რომ სამი წლის შემდეგ, მეც ბათუმში ჩავაბარე ქვაზე კვეთის სპეციალობით და უკვე ხშირად მიწევდა იქით ყოფნა. ხელი ზუტად იმ ადგილას ვთხოვე, სადაც პირველად შევხვდით ერთმანეთს.

ლიკა:

-თოჯინების თეატრში ვმუშაობ, საბავშვო დეკორაციებს ვხატავთ ერთად. ის სირთულეები, რაც სხვა ქალაქში საცხოვრებლად გადასვლას აქვს, არ მქონია, რადგან გიორგი მეხმარებოდა ამ სირთულის დაძლევაში. სამსახურშიც მაძლევენ თავისუფლებას, მაქსიმალურად გამოვხატო ჩემი თავი.

-რადგან ხელოვანი წყვილი ხართ, ალბათ, გიფიქრიათ, სამომავლოდ, თქვენი ნიჭის განვითარებაზე, ერთობლივ კოლაბორაციაზეც.

-ჯერ კიდევ გიორგის გაცნობამდე, მინდოდა, ჩემი სახელოსნო-სტუდია გამეხსნა, ერთად ყოფნის პერიოდში, უფრო მეტად დავფიქრდით ამ იდეის განხორციელებაზე. უკვე პროცესში ვართ, გვინდა, ეს არ იყოს მხოლოდ სივრცე, სადაც შაბლონურ ხატვას ვასწავლით, გვინდა, თეორიული ცოდნაც მივცეთ, რომ უკვე ჩვენგან წასულს, შეეძლოს პროფესიული ცოდნის გაგრძელება და აღარ დაჭირდეს დამატებითი რესურსის დახარჯვა. გარემო იყოს ისეთი, ხატვის გარდა, დასვენება და განტვირთვა რომ შეძლონ...

თ. ჯავახიშვილი

- ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა -

მანანა ჩხეიძე: ქალბატონი, რომელიც თექისგან ულამაზეს ნამუშევრებს ქმნის

თექა ქსოვილის შექმნის და დამუშავების ერთ-ერთი ყველაზე უძველესი მეთოდია და ქართული ხალხური შემოქმედების მემკვიდრეობას წარმოადგენს. ამ ქსოვილის დამზადება და მისი მხატვრული დამუშავება უძველესი დროიდან დიდ ადგილს იკავებდა საქართველოს კულტურულ, ესთეტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში. ენციკლოპედიური მონაცემებით, თექა- მოთელილი მატყლის საფენი ქეჩაა, ამზადებენ თუშეთში, კახეთში, ხევსა და ჯა ვახეთში. მწყემსები და მეცხვარეები მთაბარობისას, თექას იყენებენ კარვების

გადასახურად. სახიანი თექის საუკეთესო ნიმუშები („ნაბადი“) მზადდებოდა თუშეთში. თუშური თექა გამოირჩევა მარტივი და დახვეწილი ორნამენტით. თექაზე რატო გიყვებით? გეტყვით:

გაზეთის ერთგული მკითხველი შეამჩნევდა, რომ პერიოდულად და დიდი სიამაყით წარმოგიდგენთ ხოლმე სხვადასხვა პროფესიის ქალბატონებს, რომელთაც ერთი საერთო ნიშანი, ხელსაქმე აერთიანებთ. ამჯერად, ფაქტობრივად, 2024 წლის „ხაშურქალაქობის“ აღმოჩენას, ქალბატონ მანანა ჩხეიძეს გაგაცნობთ. იგი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საბავშვო ბაღის პედაგოგი და ქვიშხეთის კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტია. მანანა ჩხეიძე ქვიშხეთელია, ხელსაქმე დედამ შეაყვარა და რამდენიმე წლის უკან თექის რეწვაც სრლიად შემთხვევით შეისწავლა.

- დედა ქარგავდა ძალიან კარგად და მე და ჩემი და ვსწავლობდით. დედა გვაძლევდა საშუალებას, რომ გვესწავლა, გვაინტესესებდა ხელსაქმით. შეგვიძენდა მულინა ძაფებს, გამოყავდა ლამაზი ორნამენტები, გვიხატავდა კონტურებს და

შემდეგ ვაკეთებდით ნაფენ ნაქსოვს. ეს არის ურთულესი... ასე ვთქვათ, კარგად დავხელოვნდით. ჩვენს ყმაწვილობაში იყო, ეგრეთ წოდებული, „უკრაინკა“ სამოსი, რომელიც ჩვენი ხელით იყო მოქარგულ- მოკაზმული და თავს ვიწონებდი. ნათესავებისთვისაც ვირჯებოდით.

იმ პერიოდში, როდესაც მანანა ჩხეიძე თექის რეწვის ხელოვნებას დაეუფლა, ტამისკარის ბავშვთა სახლში მუშაობდა, სადაც ლიტვის საელჩოს პროექტი ხორციელდებოდა, ბავშვთა სახლებში იქმნებოდა სახელოვნებო წრეები. თავდაპირველად, ბავშვებს მინანქრის შესწავლა შესთავაზეს, თუმცა, მინანქრის რთული პროცესით არ დაინტერესდნენ... და ამ დროს, ბავშვთა სახლში მოვიდა ქალბატონი მაია გუდაძე, თექის მასწავლებელი, ფერად - ფერადი მატყლით, თექის ნემსებით და სხვა საჭირო მასალებით. ბავშვებს თექის რეწვა მოეწონათ. ბევრი მათგანი ჩაერთო თექის სახელოვნებო წრეში, შეიქმნა უამრავი ნამუშევარი, ქმნიდნენ დიდ პანოებს...

- იმ პერიოდში, მე ბავშვთა სახლში ვიყავი პედაგოგი და არასოდეს მენახა თექა და მისი დამუშავების პროცესი. მთელი არსებით ჩავერთე თექის დამუშავების შესწავლაში, ვხუმრობდი ხოლმე, რომ მაიას საუკეთესო მოსწავლე ვიყავი... მოკლედ, ვახამებდი ფერებს, ვიშველიებდი ფანტაზიებს და ვქმნიდი პატარ-პატარა კომპოზიციებს.

- და აქედან დაიწყო თქვენი თავგადასავალი თექასთან?..

- აქედან დაიწყო, კი. დაახლოებით 2010 წლიდან. დავდიოდი უნივერმაღ „თბილისში“, ვიძენდი მასალას, თექის ნემსებს... თექის დამუშავება ძალიან რთული და შრომატევადი პროცესია, საჭიროებს ცალკე სივრცეს, სპეციალურ ნემსებს, სპეციფიკურ დამუშავებას. ასე დავიწყე და რამდენიმე ნამუშევარი გავყიდე „შარდენზე“. სხვათაშორის, უცხოელებმა შეიძინეს. ბევრი ნამუშევარი გავაჩუქე. განსაკუთრებით ვჩუქნიდი ისეთ ადამიანებს, ვინც ხელით რეწვის, ხელით ნამუშევრების ფასი იცოდა. ჩემი ერთ-ერთი თექის ნამუშევარი, ძველი თბილისის კომპოზიცია, ეხლაც ინახება ცნობილი ქართველი მხატვრის ნათელა იანქოშვილის ოჯახში, ბუხრის თავზე. ასევე ერთი ნამუშევარი ინახება მარინა ნიკოლაშვილის, ქართველი მეწარმე ქალის ოჯახში, რომელიც ქვიშხეთში გვსტუმრობდა ხოლმე, აღფრთოვანებული იყო მსგავს ნამუშევრებზე და მას ვუსახსოვრე სიამოვნებით.

- გაგვაცანით თქვენი თექით ნამუშევრები...

- ამ წუთისთვის სახლში მაქვს რვა ნამუშევარი. მათ შორის „კალები“, ძველი თბილისის პატარა უბანი, ქართულ ეროვნულ მოტივებზე მაქვს ნამუშევარი, ვაზი, ქვევრი, ორშიმო. მაქვს თექით გაკეთებული ხევსურული ორნამენტი და გაკეთებული მაქვს რიწა, ის რაც დამრჩა ჩემს მეხსირებაში ნანახიდან, რიწის ტბა, პატარა აფრიანი ნავი და ტაძარი ტყის სიღრმეში. თუმცა დიდი ხანია აღარ შემიმატების ნამუშევრები. ამ ზაფხულს მქონდა სურვილი დამეწყო კვლავ მუშაობა. მაგრამ დრო ვერ გამოვნახე...

- ფართო საზოგადოება თუ გიცნობთ ამ კუთხით? თუ გამოგიფენიათ ნამუშევრები დამთვალიერებლებისათვის?

- ჩემი ნამუშევრებიპირველად გამოვფინე საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე. არ ვარ აქტიუარად ჩართული გამოფენებში, თუმცა მახსენდება, რომ კიდევ ერთხელ ჩემი თექის ნამუშევრები, გამოვფინე ბაიანთხევში „არტგენის“ ფესტივალზე. და ბოლოს, წლეულს „ხაშურქალაქობაზე“. დამთვალიერებლებისთვის შევარჩიე სამი ნამუშევარი. და დიდი დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა.

- ნამუშევრებისთვის კომპოზიციებს თავად ქმნით?

- კი მე თვითონ. არანაირი ფოტოდან გადაღება. ამ ეტაპზე ვმუშაობ „მზესუმზირებზე“, რომელიც დიდი ხნის წინ დავიწყე და არ მაქვს დასრულებული. თექისგან ვამზადებ სათითაოდ მზესუმზირის მარცვლებს. ცხელ წყალში ვამუშავებ თექის ბურთებს, რთული პროცესია, თუმცა აუცილებლად უნდა დავასრულო...

- ასეთი დაინტერესების შემდეგ მაინც, არ გეგმავთ გააქტიუროთ თექის რეწვა, შექმნათ კვლავ ნამუშევრები და გამოფინოთ?

- კი, როგორ არა, ვგეგმავ გამოფენა გავაკეთო ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში, სიმბოლურიც არის ალბათ, ქვიშხეთელი ვარ და ქვიშხეთში გამოვფინო ჩემი ნამუშევრები.

- ქალბატონო მანანა. ამბობთ, რომ თექაზე მუშაობა შრომატევადი, ხანგრძლივი პროცესია, დიდი დროს მოითხოვს, თქვენთვის ეს პროცესი რა ემოციაა?

- უი, ძალიან სასიამოვნო პროცესია, თავიდანვე რომ გამოიკვეთება კონტურები და ხვდები რომ ის გამოდის, რაც ჩაიფიქრე. თექაზე მე ვმუშაობ რთული, განსხვავებული ტექნით, მთლიანად ვმუშაობ თექის ნემსით, ფაქტობრივად, არის თექა ნაქარგი.

ქალბატონი მანანა დეტალურად გვიყვება თექის დამუშავების მისეულ ტექნიკას, **როგორი სიფაქიზით და სიზუსტით მუშავდება მცირე დეტალები, რომლებიც შემდეგ კომპოზიციას ქმნიან. ამბობს, რომ თექა ნაქარგი რთული, მაგრამ მისთვის ძალიან სასიამოვნო პროცესია. რამდენიმე ხნის უკან, თექის დამუშავების მასტერკლასებიც კი გაუმართავს საბავშვო ბაღის აღსაზრდელების დედებისათვის „მშობელთა ჩართულობის“ ფარგლებში და მშობლებიც დიდად დაინტერესებულან. პატარების სამოსისთვის მცირე დეტალები დაუმზადებიათ.**

გპირდებით, როდესაც ქალბატონი მანანა თექის „მზესუმზირებს“ დაასრულებს, სხვა ნამუშევრებსაც შექმნის თექისგან და გამოფენს, ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც დაბრუნდება და მის შემოქმედებით სიახლეებს კიდევ ერთხელ გაგაცნობთ.

თ. ახალკაცი

ჯემალ მარკოზაშვილის ხსოვნას

ჩვენს ქალაქს, საბედნიეროდ, ყოველთვის ჰყავდა ისეთი ადამიანები, რომლებიც ერთგვარად, ქმნიდნენ ქალაქის საერთო სახეს და თავისი ღვაწლითა და მოღვაწეობით, ხაშურს მთელს ქვეყანას აცნობდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო ჯემალ მარკოზაშვილი, კაცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე დაუკავშირა ხაშურს და იმდენი შეძლო, რომ მის სახელს დიდხანს არ მიადგება დავიწყების მრუმე ჩრდილი. საუკეთესო სპორტსმენი, რაიონის და ქვეყნის პატრიოტი, მუდამ იმისთვის იღვწოდა, რომ სიყვარული დაეთესა და ხეკეთილი ეხარებინა. შეძლო კიდეც, პეშვ-პეშვ აგროვებდა სიკეთეს და უშურველად გასცემდა ყველგან. ცხოვრებამ უმძიმესი ტრაგედიებიც დაატეხა თავს, მაგრამ ღირსება არასდროს დაუკარგავს. ახალგაზრდობაში, ჯერ საუკეთესო ფეხბურთელად დაამახსოვრა ქალაქს თავი, შემდეგ კი „ივერიის“ უფროსი მწვრთნელის რანგში გუნდს ლიდერებს შორის დაუმკვიდრა ადგილი.

მძიმეა დანაკლისი, მძიმე განცდა, რომ ეს კარგი კაცი ჩვენს გვერდით აღარაა, თუმცა, მისი ღირსებით განვლილი გზა, იმედს გვიტოვებს, რომ უფალი სანთელ-ნათელს არ მოაკლებს. ჩენ კი მეოხად დავუდგებით მაცხოვარს, რომ მარადიულ და ღვთისმშობლის მადლით გაბრწყინებულ სასუფეველში დაუმკვიდროს ადგილი.

მეგობრები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.